სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

25 ივლისი, 2011 წელი, №71

საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტი

საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლო ეკოლოგიურ პროექტში მწვანე ყუთი აქტიურადაა ჩართული. ყოველთვიურად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ჩაბარებული მაკულატურა რამდენიმე ტონას აღწევს. დევნილი ბავშვებისთვის ორგანიზებული ღონისძიება კი თბილისის საქალაქო სასამართლომ "თბილისის აკვაპარკის" ადმინისტრაციის თანადგომით განახორციელა.

2

მსჯავრდებულის სასარგებლო გადაწყვეტილება



ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა საკუთარი სიმამრის განზრახ მკვლელობისათვის მსჯავრდებულ ლაშა გოგუას საჩივრის განხილვა. აპელანტი რაიონული სასამართლოსაგან დადებული მსჯავრის ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობაზე გადაკვალიფიცირებას ითხოვდა.

4

შემცირებული სასჯელი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების სასიკეთოდ რაიონული სასამართლოს კიდევ ერთი განაჩენი შეცვალა. ა.ბ-სა და მ.ბ-ს 9-წლიანი საპატიმრო მსჯავრი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის დაედოთ.

4

ევროპული სიახლეები თბილისის საქალაქო სასამართლოში

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქალაქეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი სერვისები ამოქმედდა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ეწვია და უწყებაში განხორციელებულ ცვლილებებსა და სიახლეებს ადგილზე გაეცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი თანამედროვე სტანდარტებს გაუთანაბრდა. სასამართლოში ამოქმედდა საქმის წარმოების ერთიანი ელექტრონული პროგრამა, რომელიც სასამართლოსთან მოქალაქის ურთიერთობას კიდევ უფრო სწრაფს, მარტივს და ეფექტურს გახდის.

ელექტრონული პროგრამის მოხმარების წესების გასაცნობად, სასამართლოს თანამშრომლებმა საკვალიფიკაციო ტრეინინგები გაიარეს. სწრაფი და ეფექტური მომსახურების მიზნით, სასამართლოს ფოიეში დამონტაჟდა ე.წ რიგის მართვის აპარატი, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. ასევე, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კანცელარიაში ვერტიკალურად დამონტაჟდა მინები, რომლის საშუალებითაც, მოქალაქეთა სარჩელისა და განცხადების წარდგენა კონფიდენციალურად ხორციელდება.

სასამართლო შენობაში მოქალაქეთათვის გაძლიერდა შიდა უსაფრთხოების მექანიზმები. შენობის შესასვლელში განთავსებული ახალი სკანირების დეტექტორი სასამართლოს ტერიტორიაზე აკრძალული ნივთების მოხვედრის შესაძლებლობას გამორიცხავს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თბილისის საქალაქო სასამართლოში განხორციელებული ცვლილებები მედიის წარმომადგენლებსაც გააცნო.

მოსამართლეთა ასოციაცია - ქართველი მოსამართლეების ინჯერესების დამცველი

30 ივლისს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ასოციაციის კრება ჩატარდება, სადაც ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა მეიშვილი საქართველოს მოსამართლეთა კორპუსს ასოციაციის მუშაობის წლიურ ანგარიშს წარუდგენს. მოსამართლეები შეაჯამებენ განვლილ წელს, გაიმართება დისკუსია და მოწონების შემთხვევაში, კენჭისყრის პრინციპით, წლიურ ანგარიშს დაამტკიცებენ. იმავე კრებაზე მოსამართლეთა ასოციაციის სამომავლო გეგმებზეც იმსჯელებენ.
რა არის მოსამართლეთა ასოციაცია და რა მიზანს ემსახურება მოსამართლეთა ყველაზე მსხვილი გაერთიანება, ამ საკითხზე ინტერვიუ ვთხოვეთ უზენაესი სასაამრთლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარეს ზაზა მეიშვილს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად გთავაზობთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ამჯერად, სამართალი პასუხებს გასცემს ბოლო დროს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დადგენილ სასჯელებთან და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს.

ნუგზარ ძაძამია, 40 წლის:

- რა შეღავათია კანონით დაწესებული მათთვის, ვინც ნებაყოფლობით შეწყვეტს უკანონო ფორმირებაში საქმიანობას და ჩააბარებს იარაღს?

- ის, ვინც ნებაყოფლობით შეწყვიტს უკანონო ფორმირებაში საქმიანობას და ჩააბარებს იარაღს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება. ოღონდ, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი მის ქმედებაში სხვა დანაშაულის ნიშნები არ არის.

გენადი ჯვარშეიშვილი, 44 წლის:

- კანონით როგორ ფორმულირდება უკანონო შეიარაღებული ფორმირება?

- ფორმირება გულისხმობს ნებისმიერ ფორმირებას, რომელიც შეიარაღებულია ცეცხსასროლი იარაღით, საბრძოლო მასალით, ფეთქებადი ან ადვილად აალებადი ნივთებით, ასაფეთქებელი მოწყობილობით, ცრემლსადენი, რადიოაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერებით, ცივი იარაღით ანდა ნებისმიერი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად, ანდა, გასანადგურებლად.

ლევან ჭკუასელი, 40 წლის:

- თუკი პოლიციელზე ან ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმა განხორციელდება და ამის საფუძველი იქნება საყოფაცხოვრებო საკითხები, ასეთი შემთხვევა დაექვემდებარება თუ არა ახლახანს კანონში შეტანილ და დამტკიცებულ გამკაცრებულ ნორმებს? უვადო პატიმრობის გარდა, თუ ითვალისწინებს სხვა სასჯელსაც ახალი კანონი პოლიციელზე ან ხელისუფლების წარმომადგენლეზე თავდასმის შემთხვევაში?

- საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებული დაპირისპირება პოლიციელზე, ხელისუფლების წარმომადგენელზე ან მათ ოჯახის წევრებზე, თავდასხმად არ დაკვალიფიცირდება. სიახლის ავტორების განმარტებით, სისხლის სამართლის გამკაცრებული ნორმები მხოლოდ იმ შემთხვევებზე გავრცელდება, თუ თავდასხმის მიზანი პოლიციელის ან ხელისუფლების წარმომადგენლის საქმიანობა გახდება, საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებული დაპირისპირება პოლიციელზე, ხელისუფლების წარმომადგენელზე ან მათ ოჯახის წევრებზე თავდასხმად არ დაკვალიფიცირდება.

ახალი კანონის თანახმად, პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან სატრანსპორტო საშუალებაზე, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრზე თავდასხმა, პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, აგრეთვე მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით - დაისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მართლმსაჯულება

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აჭარის რეგიონის ქურნალისტებს შეხვდა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მუშაობის შედეგები აჭარის რეგიონის მედიის წარმომადგენლებს გააცნო.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები. ბოლო კვლევის თანახმად, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2011 წლის მაისში ჩატარდა, მოქალაქეების დიდი ნაწილი ენდობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოკითხული რესპოდენტების 68 პროცენტი აცხადებს, რომ სრულად ენდობა სასამართლოს, ხოლო 16,9 პროცენტი სასამართლოს მიმართ ნაწილობრივ ნდობას აფიქსირებს.

ასევე, მაღალია სასამართლოს მომსახურებით კმაყოფილი მოქალაქეების რიცხვი.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებს განუცხადა: "სწორედ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების დამსახურებაა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ენდობა სასამართლოს. ეს იმითაც დასტურდება, რომ სასამართლოში შემოდის ძალიან ბევრი სარჩელი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, 42 პროცენტით გაიზარდა სასამართლოში შემოსული სამოქალაქო, ხოლო 99 პროცენტით - ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა. ეს ფაქტი და ასევე საქმეების გასაჩივრების დაბალი პროცენტი, მიუთითებს, რომ მოქალაქეების ნდობა სასამართლოს მიმართ გაზრდილია და ჩვენი სურვილია, რომ ეს ნდობა უფრო მაღალი იყოს."

საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტი

საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლო ეკოლოგიურ პროექტში "მწვანე ყუთი" აქტიურადაა ჩართული. ყოველთვიურად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ჩაბარებული მაკულატურა რამდენიმე ტონას აღწევს.

გასულ კვირას თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში დამატებით დაიდგა ე.წ. მწვანე ყუთები, სადაც უწყების თანამშრომლები გამოყენებულ, მეორად ქაღალდებს ათავსებენ. ყუთების შევსების შემდეგ, მაკულატურა სპეციალურ საწყობში ტრანსპორტირდება. ტექნიკიური პერსონალი კი მეორად ქაღალდს გადამამუშავებელ ქარხანაში აბარებს, სადაც მაკულატურის დამუშავება და ქაღალდის ახალი პარკების დამზადება ხდება. პროექტ "მწვანე ყუთს" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება "ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი" ახორციელებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ - "საზოგადოებრივი სასამართლოს" პროექტის ფარგლებში კიდევ ერთი საქველმოქმედო აქცია განახორციელა. პროექტი საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რამოდენიმე მიმართულებას მოიცავს, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ბავშვებთან ურთიერთობას ეთმობა.

"ჩვენ ვაგრძელებთ სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებს, დღევანდელ ღონისძიებას წეროვანისა და კოდის დევნილთა დასახლებაში ბინადარ ბავშვებს მივუძღვნით და 8-დან 15 წლამდე ასაკის 100-მდე მოზარდი ზაფხულის ერთ ცხელ დღეს "თბილისის აკვაპარკში" მხიარულად გაატარებენ. მათ იქ არა ერთი სამახსოვრო საჩუქარი გადაეცემათ," - განაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერმა ვანო ზარდიაშვილმა.

დევნილი ბავშვებისთვის ორგანიზებული ღონისძიება თბილისის საქალაქო სასამართლომ "თბილისის აკვაპარკის" ადმინისტრაციის თანადგომით განახორციელა.

იმიტირებული პროცესების ჩემპიონატი

საქართველოს უზენაეს სასამართლოში იმიტირებული პროცესების ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება გაიმართა.

პროექტი "ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს" მიერ იყო ორგანიზებული და მისი პარტნიორია საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ეს პროექტი საქართველოში ჩატარებულ პროცესთა შორის ყველაზე მასშტაბურია. პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებს. მსგავსი პროექტები ხელს უწყობს მომავალ იურისტებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 6 პროცესი და გამოვლინდნენ ფინალისტი გუნდები.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა ფინალი და ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის საფუძველზე გამოვლინდა პროექტის საბოლოო გამარჯვებული გუნდი. გამარჯვებულ გუნდებსა და საუკეთესო მონაწილეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა და პირველმა მოადგილე ზაზა მეიშვილმა გადასცეს სერთიფიკატები და სხვადასხვა პრიზები.

უზენაესი სასამართლო პარტნიორობს და ხელს უწყობს ყველა იმ პროექტის წარმატებით განხორციელებას, რომლებიც სტუდენტებში პროფესიულ უნარ-ჩვევებს განავითარებს.

მოსამართლეთა ასოციაცია - ქართველი მოსამართლეების ინტერესების დამცველი

პირველი გვერდიდან

- ბატონო ზაზა, რა მიზანს ემსახურება მოსამართლეთა გაერთიანება?

- საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ასოციაცია 1999 წელს შეიქმნა და იგი არის საქართველოში მოქმედ მოსამართლეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. ასოციაციის მიზანია, პირველ რიგში, დაიცვას მოსამართლეთა ინტერესები, მათი უფლებები და, იმავდროულად, იზრუნოს სასამართლო სისტემის გამართული საქმიანობისთვის, რათა სასამართლო სისტემა იყოს წარმოდგენილი საზოგადოებაში, როგორც დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო ხელისუფლება.

აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლეთა ასოციაცია არის კონკრეტული მოსამართლის უფლების დამცველი, მისი ადვოკატი და დამხმარე. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა, მოსამართლეთა ასოციაციის წევრია. შესაბამისად, ჩვენ წარმოვადგენთ ერთ გუნდს, რომელიც ზრუნავს სასამართლოთა კორპუსის ინტერესების დაცვაზე.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს არა ერთი, არამედ მოსამართლეთა რამდენიმე ასოციაცია - ინსტაციების, სპეციალიზაციების, რეგიონების მიხედვით. ამ ასოციაციებს შორის მუდმივად არის დაპირისპირება და კონკურენცია, საქართველოში კი მოსამართლეთა მხოლოდ ერთი გაერთიანება არსებობს. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ასოციაცია წარმოადგენს ქართულ მართლმსაჯულებას საერთაშორისო ასპარეზზეც. ჩვენ ვართ მსოფლიოს მოსამართლეთა ასოციაციათა გაერთიანების აქტიური წევრი, ვღებულობთ მონაწილეობას როგორც მსოფლიოს მოსამართლეთა ასოციაციების შეხვედრებზე, სადაც ვსჯელობთ სხვადასხვა ქვეყნების მოსამართლეების პრობლემებზე. ერთი სიტყვით, ჩვენ ვმოქმედებთ არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ, ქვეყნის გარეთაც - საერთაშორისო ასპარეზზე.

- ბატონო ზაზა, რა პრობლემები აქვთ მოსამართლეებს ქვეყნის შიგნით და კონკრეტულად, რა საკითხების მოგვარება უწევს მოსამართლეთა ასოციაციას?

- მოსამართლეთა ასოციაცია ზრუნავს იმაზე, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეები მოღვაწეობდნენ წარმატებულად და, იმავდროულად, იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები. ასოციაცია აწყობს მოსამართლეებისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს. გარკვეულ თარიღებთან დაკავშირებით ვატარებთ მოსამართლეთა მიღებებს თუ შეკრებებს. წელიწადში ერთხელ ვატარებთ

მოსამართლეთა საერთო კრებას. მოსამართლეთა ასოციაცია ორგანიზებას უკეთებს კულტურულ ღონისძიებებს თუ სპორტულ შეჯიბრებებს. ასევე, აგვარებს მოსამართლეთა დასვენების საკითხებსაც. ასოციაციის აქტიური მხარდაჭერით, სასამართლოები ეჯიბრებიან ერთმანეთს ფეხბურთში, კალათბურთში. ცოტა ხნის წინ სასამართალო სისტემა იყო წარმოდგენილი მინისტერიალში, რომელიც რვა სახეობის სპორტულ შეჯიბრებას გულისხმობდა. ამ შეჯიბრებაში სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებთან ერთად მოსამართლეთა ასოციაციის წევრებიც მონაწილობდნენ.

მოსამართლეთა ასოციაცია ზრუნავს იმაზეც, რომ საჭიროების შემთხვევაში, ვთქვათ, ჯანმრთელობის თუ სხვა სახის პრობლემის დროს, გვერდით დაუდგეს საკუთარ წევრებს ფინანსურად თუ სხვა სახის დახმარებით. ჩვენი საბოლოო მიზანია, რომ მოსამართლეებს შევუქმნათ საუკეთესო პირობები, რათა გვყავდეს წარმატებული მოსამართლეები, რომლებიც წარმატებით განახორციელებენ თავის საქმიანობას.

- როგორც ჩვენთვის ცნობილია, ასოციაციას აქვს პერიოდული გამოცემაც.

- მოსამართელთა ასოციაციას, უზენაეს სასამრთლოსთან ერთად აქვს თავისი გამოცემა - ჟურნალი "სამართალი", რომელიც გამოიცემა კვარტალში ერთხელ. ეს არის სერიოზული იურიდიული გამოცემა, რომელიც პირველ რიგში, საერთო მოსამართლეების წარმომადგენლებს, მხარეეს, პროფესურას და, ზოგადად, დაინტერესებულ პირებს აძლევს საშუალებას სასამართლო პრაქტიკასა თუ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციები გამოხატონ. მაგალითად, ჟურნალის ბოლო ნომერში ოთხი მოსამართლის სტატიაა დაბეჭდილი, რომელიც სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხებს შეეხება. იქვე არის ადვოკატების, დოქტორანტების თუ პროფესორების სტატიები. ასე, რომ ამ გზით ჩვენ ვცდილობთ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა გავწიოთ, რაც, საბოლოო ჯამში, ისევ მოსამართლეს ეხმარება სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

- მოსამართლეთა ასოციაცია აქტიურად მონაწილეობს კანონშემოქმედებით მუშაობაშიც, კონკრეტულად რა მიმართულებით გიწევთ მუშაობა?

- მართალია, კანონშემოქმედებითი საქმიანობა უშუალოდ პარლამენტის პრეროგატივაა, მაგრამ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია აქტიურად მონაწილეობს ამა თუ იმ კანონპროექტის განხილვის დროს. თავის დროზე, როდესაც მოსამართლეთა ქცევის წესები შემუშავდა, ეს კანონპროექტი ჯერ მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობამ განიხილა, შემდგომ კი, კონფერენციაზე იმსჯელეს. ასევე, როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის წინ გამკაცრდა პასუხლისმგებლობა მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევასთან დაკავშირებით და ამის გამო ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსშიც. მაშინაც, პირადად მე და მოსამართლეთა ასოციაცია, აქტიურად ვიყავით კანონპროექტის განხილვებში ჩართული. შეხვედრები გვქონდა პარლამენტრებთან, არასამთავრობო სექტორთან და ასე შემდეგ. ასე, რომ აუცილებლობის შემთხვევაში და იმ საკითხებში, რომელიც ზოგადად მოსამართლეებს ეხება, მოსამართლეთა ასოციაცია აქტიურად ღებულობს მონაწილეობას.

- ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოსამართლეთა საქმიანობის ან ზოგადად სასამართლო სისტემის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მოსამართლეთა ასოციაციას გარკვეული ინიციატივები წამოეყენებინოს, რომელიც რეალურად დაინერგეა?

- ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია მიმართოს ასოციაციის გამგეობას დაწყებული პირადი პრობლემიდან, ფართო პრაქტიკით დამთავრებული. მას აქვს უფლება თავისი პოზიცია დააფიქსიროს ღიად თუ წერილობით და აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ საკითხს შევისწავლით.

- უცხო ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების შეკრებისას რა საკითხებს განიხილავთ და როგორ აისახება ეს ქართული მართლმსაჯულებაზე?

- მსოფლიო მოსამართლეთა ასოციაციის და ევროპის მოსამართლეთა ასოციაციის შეკრებაზე ჩვენ ვიხილავთ ამა თუ იმ პრობლემას, რომელიც არსებობს კონკრეტულ სასამართლო სისტემაში. ძირითადად, ეს ეხება მართლმსაჯულების განვითარების საკითხებს. არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მოსამრთლეები ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას პრაქტიკასა თუ თეორიულ სკითხებზე. ეს არის დიდი ფორუმი, სადაც ჩვენ შეგვიძლია მსოფლიოს ქვეყნების მოსაზრებები და გამოცდილებები მოვისმინოთ და გავიზიაროთ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას ჰქონია ის პრობლემები, რომელიც ქართულმა მართლმსაჯულებამ რამდენიმე წლის წინ გაიარა, ამიტომ, მათივე თხოვნით, ამ ქვეყნებში დასახმარებლად საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წარმომადგენლებიც კი გაგვიგზავნია. ასე, რომ ჩვენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში აქტიურად ვართ ჩართული - საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია აქტიური წევრია საერთაშორისო მოსამართლეთა ასოციაციების ფორუმების.

Vox Populi

ლიზი ჩივაძე,
30 წლის:

- რამდენწლიანი პატიმრობაა გათვალისწინებული უკანონო შეიარაღებული ფორმირების დაფინანსებისთვის, შექმნისთვის და ამ ფორმირებაში მონაწილეობის მიღებისთვის?

- უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ექვსიდან 12 წლამდე. ასევე, უკანონო ფორმირებაში მონანილეობა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე. რაც შეეხება უკანონო ფორმირების დაფინანსებას - ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების შეგროვება ან მიწოდება ამ ფორმირების გამოყენების მიზნით, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

ირინა ჯაყელი,
38 წლის:

- ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინ დამტკიცებული კანონით, სახელმწიფო დაცვის თანამშრომლებს უფლებები გაუფართოვდათ. კონკრეტულად, რაში გამოიხატება მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება?

- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს ფიზიკური პირების ადმინისტრაციული წესით დაკავების უფლებამოსილება მიეცათ. თუკი აქამდე, წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს კანონდამრღვევი პირის მისი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტის ტერიტორიიდან გაყვანა შეეძლო, ახალი კანონით, სპეციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლებს მათი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტზე კანონდამრღვევი მოქალაქის ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემის უფლებამოსილება მიენიჭათ. გარდა ამისა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს მათ მიერ დაკავებული პირებისთვის პირადი ნივთებისა და დოკუმენტაციის ჩამორთმევის უფლებაც მიეცათ.

ციცინო თავხელიძე,
51 წლის:

- კონკრეტულად როგორი ტიპის გაყალბებულ დოკუმენტებზე გამოცხადდა ამნისტია, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს? როდემდე აქვს ამნისტიას ვადა?

- ამნისტია გავრცელდება მხოლოდ იმ ყალბ დოკუმენტებზე, რომელიც პირს 2007 წლის პირველ იანვრამდე აქვს გამოყენებული. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებიც 2012 წლის 31 დეკემბრამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში განაცხადებენ მათ მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი თავის ან ნათესავის სასარგებლოდ ყალბი დოკუმენტის, პირადობის მოწმობის, ბინადრობის მოწმობის, პასპორტის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის დამზადებასთან, შეძენასთან, შენახვასთან, გამოყენებასთან, მისაკუთრებასთან, გადამალვასთან, განადგურებასთან, დაზიანებასთან.

მსჯავრდებულის სასარგებლო გადაწყვეტილება

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა საკუთარი სიმამრის განზრახ მკვლელობისათვის მსჯავრდებულ ლაშა გოგუას საჩივრის განხილვა. აპელანტი რაიონული სასამართლოსაგან დადებული მსჯავრის ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობაზე გადაკვალიფიცირებას ითხოვდა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად, სააპელაციო პალატამ ლაშა გოგუა მასზე მსჯავრად შერაცხულ ქმედებაში დამნაშავედ ცნო.

დანაშაული 2011 წლის 17 თებერვალს, მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში მოხდა. მსჯავრდებული მეუღლესთან არაოფიციალურად დაშორებული იყო და სიმამრის სახლში ამ უთანხმოების მოსაგვარებლად მივიდა. სიძე-სიმამრს შორის შეხლა-შემოხლა სიმამრის მკვლელობის მცდელობით დასრულდა. გოგუამ თავის სიმამრს გულ-მკერდის არეში დანა რამდენჯერმე დაარტყა. დაჭრილს მარტვილის საავადმყოფოში სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა და მისი გადარჩენა მოხერხდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის პარალელურად, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურასა და მსჯავრდებულს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. სააპელაციო პალატა გაეცნო სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობას მხარეებს შორის ბრალსა და სასჯელზე შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ იგი დადებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. დანაშაულის სიმძიმისა და ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა და სახე პალატამ სამართლიანად მიიჩნია.

ლაშა გოგუას მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში მსჯავრდებულისათვის სასიკეთო ცვლილება შევიდა. 10-წლიანი საპატიმრო მსჯავრიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გოგუას 4 წელი პირობით ჩაუთვალა.

"ქურდული სამყაროს" წევრები გაასამართლეს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა 5-კაციანი დანაშაულებრივი ჯგუფის მიმართ, რომელსაც სხვა სახის დანაშაულებთან ერთად მსჯავრი "ქურდული სამყაროს" წევრობისთვის დაედო. სააპელაციო საჩივრების გაცნობისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შემდეგ სისხლის სამართლის პალატამ ნუგზარ ბეჩუაძე, მერაბ მიქაბერიძე, ავთანდილ უგულავა, თეიმურაზ გურეშიძე და ალექსანდრე ბანძელაძე მსჯავრად შერაცხულ ქმედებაში დამნაშავედ ცნო.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულებს კავშირი ჰქონდათ საზღვარგარეთ მცხოვრებ "კანონიერ ქურდებთან" - წყალტუბოელ კოსტა ბობოხიძეს, იგივე "ძაკუნიასა" და ხონელ ჯეირან კინწურაშვილთან. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მათი დავალებით წყვეტდნენ ე.წ. ქურდულ გარჩევებთან და არალეგალურ თამაშებთან დაკავშირებით წამოჭრილ დავებს, "ქურდულ სამყაროში" დამკვიდრებული წესებით ხელს უწყობდნენ ფულადი თანხებით ე.წ. "ობშიაკის" შეკრებას, დაშინებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით ცდილობდნენ გავლენის მოპოვებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ნუგზარ ბეჩუაძეს "ქურდული სამყაროს" წევრობის, იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე, დიდი ოდენობით ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვისათვის 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მერაბ მიქაბერიძესა და ავთანდილ უგულავას 15-წლიანი საპატიმრო მსჯავრი "ქურდული სამყაროს" წევრობისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის დაედოთ. იმავე დანაშაულებისთვის 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა თეიმურაზ გურეშიძეს. ალექსანდრე ბანძელაძეს კი, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და "ქურდული სამყაროს" წევრობისთვის 14-წლით თავისუფლების აღკვეთა.

მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული ზიანის ანაზღაურება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს სარჩელი მოპასუხეების ლევან ლევანიძის, შალვა ხუციშვილის, ლაშა აბრამიშვილისა და ლევან აბრამიშვილის მიმართ.

მოპასუხეებს დაეკისრათ მოსარჩელე "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება 29 096.49 დოლარისა და 1104.01 ლარის ოდენობით.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 16 მარტის განაჩენით დასტურდება, რომ მოპასუხეებმა ჩაიდინეს თაღლითობა, კერძოდ, დაეუფლნენ "ვითიბი ბანკი"-ს კუთვნილ თანხას.

საქმის მასალებით, დანაშაულებრივი ჯგუფის საერთო განზრახვას წარმოადგენდა ყალბი ოქროს ნივთების დამზადება და შემდგომ "ვითიბი ბანკ ჯორჯია"-ს სხვადასხვა ფილიალებსა და სერვის-ცენტრების განყოფილებებში ჩაბარება და სესხის აღების გზით დიდი ოდენობით ფულადი თანხების დაუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოპასუხეების ქმედების შედეგად "ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის" ზიანის მიყენების ფაქტი დადგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

მიყენებული ზიანის ოდენობის დასასაბუთებლად მოსარჩელის მიერ წარდგენილი იყო ზიანის გაანგარიშება.

მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხეების მიერ "ვითიბი ბანკ ჯორჯია"-სთვის ზიანის მიყენების ფაქტი და მათ ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ.

ძალაში დატოვებული და შემსუბუქებული სასჯელები

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ვლადიმერ მერებაშვილს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარებისათვის 22-წლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მსჯავრდებულმა გორის რაიონის სოფელ ტყვიავის პოლიციის განყოფილებას ხელყუმბარა ესროლა, რის შედეგადაც დაზიანდა შენობის წინა ნაწილი და პოლიციის ავტომანქანები. შენობის წინ მდგომი ორი პოლიციელი კი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. ვლადიმერ მერებაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს და მისი სახლის ჩხრეკისას კიდევ ერთი ხელყუმბარა ამოიღეს.

ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობით ვლადიმერ მერებაშვილს პირველი ინსტანციის სასამართლომ 22-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ვლადიმერ მერებაშვილმა ჩადენილი დანაშაული არ აღიარა და სააპელაციო საჩივრით გამართლება მოითხოვა. მსჯავრდებულის განმარტებით, მას არანაირი კავშირი არ ჰქონია დანაშაულთან და მისი სახლიდან ამოღებული ხელყუმბარაც მას არ ეკუთვნოდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელი დატოვა, რადგან თვითმხილველი მოწმეების ასევე, დაზარალებული პოლიციელების ჩვენებებით, ჩხრეკაში მონაწილე ნეიტრალური პირების ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე უტყუარად დადასტურდა ვლადიმერ მერებაშვილის ბრალეულობა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გიორგი ბოლქვაძეს კი 17-წლიანი სასჯელი 4 წლით შეუმცირა. ბოლქვაძე 2009 წლიდან სასჯელს ქურდობის ორი დანაშაულისთვის იხდის. პირველი განაჩენით ბოლქვაძეს დანაშაულთა ერთობლიობით მსჯავრი ქურდობის 8 ეპიზოდისთვის, მეორე განაჩენით კი, ქურდობის ერთი ეპიზოდისათვის დაედო.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, სასჯელის შეკრებისას დაშვებული ხარვეზი გამოასწორა და მსჯავრდებულს სასჯელი 4 წლით შეუმსუბუქა.

შემცირებული სასჯელები

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების სასიკეთოდ რაიონული სასამართლოს კიდევ ერთი განაჩენი შეცვალა. ა.ბ-სა და მ.ბ-ს 9-წლიანი საპატიმრო მსჯავრი ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის დაედოთ.

აღნიშნული დანაშაული მსჯავრდებულებმა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს ბათუმის განყოფილებაში მუშაობისას ჩაიდინეს. შპს "ურეხში" სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის დროს სარევიზიო ჯგუფმა მთელი რიგი დარღვევები აღმოაჩინა. ა.ბ. და მ. ბ შპს-ს დამფუძნებელს ე.წ. "სუფთა აქტის" შედგენის სამაგიეროდ ქრთამზე გაურიგდნენ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენით დადებული მსჯავრი დადასტურებულად მას შემდეგ მიიჩნია, რაც მსჯავრდებულთა აღიარებით ჩვენებებსა და საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს გაეცნო. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება დადებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. ამასთან, დანაშაულის სიმძიმისა და ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე, შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა და სახე სამართლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სს კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლება და მსჯავრდებულებს კანონით გათვალისწინებულზე მსუბუქი სასჯელი დაუნიშნა. ა.ბ-სა და მ.ბ-ს 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, საიდანაც 3 წელი პირობითად ჩაეთვალათ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ დადებული სასჯელი 4 მსჯავრდებულს შეუმცირდა. კ.გ-ს , ზ.ჭ-ს, ნ.შ-სა და გ.უ-ს მსჯავრი ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვის, ქურდობის, ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება-გასაღებისთვის დაედოთ. კ.გ-სა და ზ.ჭ-ს 7-7 წლით, გ.უ-ს 10 წლით, ნ.შ-ს 8 წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ ჰქონდათ მისჯილი. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულების სასიკეთოდ შეიცვალა. თითოეულ მსჯავრდებულს საპატიმრო სასჯელი 6-6 წლით შეუმცირდა. სასამართლომ მათ დამატებითი მსჯავრის სახით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმების გადახდა დააკისრათ.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com